საქართველოს მთავრობის განკარგულება

№961 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №394 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №394 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

„2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, 2016 წელს განსახორციელებელი სამუშაოების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი